საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/35 **13/12/2023**

რეცენზია ონლაინ სასწავლო პროგრამაზე „ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული დარღვევების სკრინინგი, შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“

მოცემული რეცენზია ეხება „ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო პროგრამას „ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული დარღვევების სკრინინგი, შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

ნივთიერებათა საზიანოდ მოხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები ფართოდ არის გავრცელებული და შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელზე. საკმაოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემა ჩვენი ქვეყნისთვისაც. განსაკუთრებულ შფოთვას იწვევს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გავრცელება ახალგაზრდებში, კერძოდ, სხვადასხვა კვლევების მონაცემებით, 2015 წელს თამბაქოს მოხმარების გავრცელება საქართველოს 16 წლის მოზარდებში 43% პროცენტს უდრიდა. ალკოჰოლური სასმელი, სიცოცხლეში ერთხელ მაინც, გასინჯული ჰქონდა მოსწავლეების 85%-ს (ბიჭები – 87%, გოგოები – 83%); მოსწავლეების 11%-მა აღნიშნა, რომ ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი); ყველაზე ხელმისაწვდომ ფსიქოაქტიურ საშუალებებად დასახელდა კანაფი (21%), ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები (12%), ექსტაზი (9%) და „ბიო სპაისი“(7%).

აღნიშნულის გათვალისწინებით, თვალსაჩინო ხდება პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების როლი ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული დარღვევების სკრინინგსა და მართვაში, რადგანაც ოჯახის ექიმები ხშირად ჯანდაცვის სისტემასთან პირველ კონტაქტს წარმოადგენენ და შესაბამისი ცოდნის პირობებში, ყველაზე კარგად შეუძლიათ ნივთიერებათა სარისკო მოხმარების დროული იდენტიფიცირება, მოტივაციური ჩარევა ქცევის ცვლილების მიზნით, ადეკვატური რეფერალი და მართვა.

წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო პროგრამაში, რომელიც ეყრდნობა პირველად ჯანდაცვაში ნივთიერებათა საზიანოდ მოხმარების სკრინინგისა და მართვის ეროვნულ პროტოკოლებს (ASSIST, AUDIT, SBIRT), დეტალურად არის განხილული სკრინინგული კითხვარების პრაქტიკული გამოყენების საკითხები, კერძოდ, ASSIST, AUDIT, S2BI, CRAFFT, T-ACE და სხვა სკრინინგული ინსტრუმენტების ქულების ადმინისტრირება, ქულის გამოთვლა და ინტერპრეტაცია; მოტივაციური ინტერვიუს რჩევები ნივთიერების გამოყენების შესახებ გამოკითხვის პროცესის გასაადვილებლად; მოკლე ინტერვენცია, რომელიც დაეხმარება

პაციენტებს შეამცირონ ან შეაჩერონ ნივთიერების მოხმარება, რეფერალის კრიტერიუმები, მეთვალყურეობა ჰოსპიტალიზაციის ან რეაბილიტაციის შემდეგ და რეგულარული მეთვალყურეობა.

უკანასკნელ წლებში უფრო მეტად გამოიკვეთა მენტალური ჯანმრთელობის და ქცევითი სერვისების ინტეგრირების აუცილებლობა პირველად ჯანდაცვაში, მათ შორის ნივთიერებათა საზიანოდ მოხმარებასთან დაკავშირებული აშლილობების დროულ იდენტიფიცირებასა და მართვაში.

ონლაინ სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს პლატფორმას პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალთა სწავლებისთვის, რათა მათ გაუადვილდეთ ადიქციის სკრინინგისა და შესაბამისი ინტერვენციების დანერგვა ყოველდღიურ პრაქტიკაში. წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო პროგრამა გვთავაზობს სწავლების მოქნილ ფორმატს, რომელიც მეტად მოსახერხებელია პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის; კურსის სტურქტურა აგებულია ლოგიკურად და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რაც უზრუნველყოფს მსმენელთა ცოდნის ამაღლებას პირველად ჯანდაცვაში ადიქციის სკრინინგსა და მართვასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ სასწავლო პროგრამის „ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული დარღვევების სკრინინგი, შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ აკრედიტაციას დადგენილი წესის მიხედვით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.12.13 09:34:44